


საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014 წლის IV კვარტალი (წინასწარი მონაცემები)


წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის IV კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 300 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის IV კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელს 5.8 პროცენტით აღემატება. აქედან ფურის სულადობამ 643 ათასი შეადგინა. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.2 პროცენტით გაიზარდა და 867 ათას სულს მიაღწია. ღორის სულადობა 209 ათასი სული იყო, რაც 9.4 პროცენტით მეტი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2014 წლის IV კვარტალის ბოლოსათვის ფრინველის რაოდენობამ 7 361 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 8.9 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი კვარტალის მაჩვენებელს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე ფრინველის რაოდენობა 2007-2014 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2007-2014 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)




* წინასწარი მონაცემები.

ცხვრისა და თხის სულადობა 2007-2014 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)




* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2007-2014 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.


ფრინველის სულადობა 2007-2014 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.


წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის IV კვარტალში რძის წარმოებამ 118.6 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 7.3 პროცენტით მეტია; ხორცის წარმოებამ 20.1 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7.5 პროცენტით აღემატება; ხოლო კვერცხის წარმოებამ 138.2 მილიონი ცალი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 8.9 პროცენტით მეტია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2007-2014 წლების IV კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2007-2014 წლების IV კვარტალში (მლნ. ლიტრი)




* წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2007-2014 წლების IV კვარტალში (დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2007-2014 წლების IV კვარტალში (მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2013-2014 წლების მაჩვენებლები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვის სულადობა 2013-2014 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

| | 2013 | | | | 2014* | | | |
|------------------------------|---------|----------|---------|---------|---------|----------|---------|---------|
| | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 1,251.4 | 1,302.5 | 1,249.8 | 1,229.7 | 1,376.4 | 1,378.0 | 1,326.4 | 1,300.4 |
| მათ შორის ფური და ფურ-კამეზი | 604.6 | 621.5 | 617.5 | 641.1 | 640.7 | 636.4 | 618.0 | 642.8 |
| ღორი | 315.6 | 320.6 | 326.2 | 191.2 | 186.1 | 215.2 | 260.5 | 209.2 |
| ცხვარი და თხა | 1,074.8 | 1,045.6 | 946.1 | 856.8 | 1,149.9 | 1,156.4 | 1,017.2 | 867.0 |
| ფრინველი (ათასი ფრთა) | 6,654.4 | 10,681.6 | 8,571.0 | 6,760.7 | 7,492.3 | 12,037.7 | 9,653.9 | 7,361.3 |

* წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2013-2014 წლებში

| | 2013 | | | | 2014* | | | |
|----------------------------------|-------|--------|---------|--------|-------|--------|---------|--------|
| | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. |
| ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა) | 9.4 | 11.0 | 9.3 | 18.7 | 7.8 | 10.9 | 10.0 | 20.1 |
| რძე (მლნ. ლიტრი) | 105.1 | 209.3 | 179.9 | 110.5 | 107.2 | 221.7 | 185.8 | 118.6 |
| კვერცხი (მლნ. ცალი) | 125.4 | 132.2 | 110.7 | 126.9 | 120.4 | 144.6 | 118.8 | 138.2 |

* წინასწარი მონაცემები.

დაზუსტებული მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2015 წლის 16 ივნისს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).